GREEN CLIMATE FUND

გერმანიის თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

ადგილობრივი თვითმმართველობის როლი ტყის მდგრადი მართვის პროცესში

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

სოფლის განვითარების სააგენტო

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

წინამდებარე პუბლიკაცია მიზნად ისახავს ფართო საზოგადოებისთვის ცნობიერების დონის ამაღლებას ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების შესაძლებლობებისა და ტყის მდგრადი მართვის შესახებ.

საინფორმაციო მასალა შემუშავებულია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა ტყის დეგრადაციით გამოწვეული სათბურის აირების ემისიების შემცირების მიზნით (ECO.Georgia)". პროექტი „ECO.Georgia" ერთობლივად ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მის დაქვემდებარებაში არსებული უწყებების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ.

სურათების წყარო - freepik.com

სარჩევი

შესავალი 2

ტყის მდგრადი მართვა 4

1.1 ტყის მართვის პრაქტიკის განვითარება 5

1.2 ადგილობრივი მმართველობის გაჩენა ტყის მართვაში 5

1.3 საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა 5

1.4 საზოგადოებრივი ცნობიერების დონის ამაღლება 6

ტყის მდგრად მართვაში ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობა საქართველოში 7

მუნიციპალიტეტისთვის ტყის მართვაში გადაცემის პროცედურები 9

მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში 11

საზოგადოების ჩართულობა ტყის მდგრადი მართვის პროცესში 12

შესავალი

ტყე საქართველოსთვის განსაკუთრებული ფასეულობის ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს. 2019-2021 წლებში ჩატარებული ტყის ეროვნული აღრიცხვის საფუძველზე მიღებული ინფორმაციით, ქვეყნის ტერიტორიის 44.5% ტყითაა დაფარული[1] და ამ მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო განეკუთვნება ტყით მდიდარი ქვეყნების რიცხვს. საქართველოს ტყეები არა მხოლოდ უნიკალური ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას განაპირობებს, არამედ, უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი სარგებლის, ტყის მერქნული და არამერქნული რესურსის უწყვეტ მიწოდებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ფუნქციონირებას, აუმჯობესებს მოსახლეობის კეთილდღეობას და ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის.



საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობა ტყის მართვაში დღეისათვის ძალიან ადრეულ ფაზაშია. საქართველოს ტყის კოდექსი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების მიერ ტყის მართვას, თუმცა მუნიციპალიტეტების უმრავლესობას ჯერჯერობით არ გააჩნია სტრატეგიული მიდგომა, პრაქტიკული ინსტრუმენტები, ეკონომიკური და ტექნიკური დაგეგმვა, პროფესიული უნარები და შესაძლებლობები იმისათვის, რომ აქტიურად ჩაერთოს ტყის მდგრად მართვაში. მუნიციპალიტეტების შესაბამისი საჭიროებების და გამოწვევების გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ჩართულობა და ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად კოორდინირებულად მუშაობა.

1 ტყის ეროვნული აღრიცხვა (2019-2021).

ტყის ახალ კოდექსში გათვალისწინებულია ტყის საკუთრების ტიპები, სადაც საქართველოს ტყე წარმოადგენს სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო საკუთრების ტყეებისა და მათი რესურსების ერთობლიობას.

ტყეს გააჩნია მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ეკოსისტემების ფუნქციები, რისთვისაც აუცილებელია მდგრადი სატყეო პრაქტიკის დანერგვა ქვეყნის მასშტაბით. სწორედ აღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით, საქართველო გადავიდა ტყის მდგრად მართვაზე. ამ მიზნის მისაღწევად 2013 წელს დაიწყო სატყეო რეფორმა. ერთმანეთისგან გაიმიჯნა სატყეო პოლიტიკის შემუშავების, მართვისა და ზედამხედველობის ფუნქციები, შეიქმნა და გაძლიერდა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, დაიწყო ეროვნული სატყეო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესი. სატყეო სექტორში დაგეგმილმა რეფორმამ გაითვალისწინა და შეცვალა ტყის მართვის მიდგომები, რაც გულისხმობს გრძელვადიანი სარგებლის მიღებაზე დაფუძნებულ ტყის მდგრად მართვას.

ტყის მდგრადი მართვა

ტყის მდგრადი მართვა არის ტყის ისეთი გზითა და მოცულობით მართვა და გამოყენება, რომ შენარჩუნდეს მისი ბიომრავალფეროვნება, პროდუქტიულობა, რეგენერაციის შესაძლებლობა, სიცოცხლისუნარიანობა და პოტენციალი, რათა ახლაც და მომავალშიც შესრულდეს ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეებზე და არ დაზიანდეს სხვა ეკოსისტემები[2].

ევროპის ტყის (მინისტრთა კონფერენცია ევროპის ტყის დაცვის შესახებ - Ministrial Conference on the Protection of Forests in Europe - MCPFE[3]) მიერ მიღებული განმარტების თანახმად, „ტყის მდგრადი მართვა ნიშნავს ტყისა და ტყიანი ტერიტორიების ისეთი მეთოდებით მოვლასა და გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი ბიომრავალფეროვნების, პროდუქტიულობის, თვითაღდგენისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას ისე, რომ მათ ახლაც და მომავალშიც შეასრულონ შესაბამისი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები, სხვა ეკოსისტემებზე ზიანის მიყენების გარეშე.“ აღნიშნული პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდეს ტყის მართვაში მონაწილე ყველა სუბიექტი (სახელმწიფო უწყება, კერძო ორგანიზაცია, ადგილობრივი თემი და სხვა).



2 საქართველოს ტყის კოდექსი
3 https://foresteurope.org/about/#prev-mc

1.1 ტყის მართვის პრაქტიკის განვითარება

ტყის მართვას ხანგრძლივი ისტორია აქვს და ის მნიშვნელოვნად განვითარდა დროთა განმავლობაში. წარსულში ტყის რესურსები ამოუწურავად ითვლებოდა, რამაც გამოიწვია არამდგრადი ტყის მართვის პრაქტიკის ჩამოყალიბება, როგორიცაა უსისტემო ჭრები და ტყის ფართობების კარგვა. თავდაპირველად ტყე, ძირითადად, ხე-ტყის, საწვავი შეშის და სხვა ნედლეულის წყაროდ განიხილებოდა, რამაც გამოიწვია ბუნებრივი ტყის გაჩეხვა, რის შედეგადაც იგი დეგრადირდა. საზოგადოებამ გააცნობიერა თუ რა როლი უჭირავს ტყეს ეკოლოგიური სტაბილურობის კუთხით და მივიდა დასკვნამდე, რომ ტყის მართვის პრაქტიკა უნდა ეფუძნებოდეს ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს. ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკა გრძელდება განვითარებასთან ერთად, როდესაც საზოგადოება შეხვდა ახალ გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია კლიმატის ცვლილებასთან, ბიომრავალფეროვნების კარგვასთან და რესურსების მდგრად მართვასთან. მეცნიერებას, ტექნოლოგიებს, სწორი კონსერვაციის პრინციპებს და საზოგადოების აქტიურ ჩართულობას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს ტყის მდგრადი მართვის ჩამოყალიბებაში.

1.2 ადგილობრივი მმართველობის გაჩენა ტყის მართვაში

საქართველოში ტყის მართვა ცენტრალიზებულია და იმართება სახელმწიფოს მიერ, თუმცა ბოლო წლებში ადგილობრივი თვითმმართველობის როლი ტყის მართვაში მზარდი ტენდენციით ხასიათდება, რომლის ნათელი მაგალითია თუშეთის, ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტი. 1990-იანი წლებიდან ტყესთან დაკავშირებით მრავალი გადაწყვეტილება მიიღეს ხელისუფლების ცენტრალიზებულ დონეზე, თუმცა ამან სატყეო სექტორში არსებული პრობლემები ვერ გადაჭრა. როდესაც ადგილობრივი ცოდნისა და საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა აშკარა გახდა, ტყის მართვის უფლებამოსილება ადგილობრივ ხელისუფლებას გადაეცა. ამ ცვლილებამ აღიარა ადგილობრივი თემების მნიშვნელოვანი როლი ტყის ეკოსისტემების შენარჩუნებასა და მდგრადი პრაქტიკის ხელშეწყობაში.

1.3 საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა

ადგილობრივ თემებსა და ადგილობრივ მოსახლეობას ხშირად აქვთ მჭიდრო კავშირი ტყესთან და ფლობენ ღირებულ ტრადიციულ ცოდნას. ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა ტყის მართვის გადაწყვეტილებებში ხელს უწყობს ადგილობრივი საჭიროებების და პერსპექტივების იდენტიფიცირებას. საზოგადოების მონაწილეობა ხელს უწყობს ტყის მდგრად მართვაში საკუთრებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდას. საზოგადოების ჩართულობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ტყის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავებაზე. ადგილობრივი თემების მონაწილეობამ, ტყის მდგრად მართვაში, შეიძლება გამოიწვიოს ისეთი რეგულაციების შექმნა, რომელიც მოსახლეობისთვის უფრო პრიორიტეტული იქნება.

1.4 საზოგადოებრივი ცნობიერების დონის ამაღლება

ადგილობრივმა თვითმმართველობამ შეიძლება ორგანიზება გაუწიოს სასწავლო და საგანმანათლებლო პროგრამებს, რათა ხელი შეეწყოს ადგილობრივი მოსახლეობის ტყის მდგრადი სარგებლობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარებას.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვანია ტყის მდგრად მართვაში, რათა შემცირდეს უკანონო ჭრები და ბრაკონიერობა, ხელი შეეწყოს ბიომრავალფეროვნების დაცვას.

მოსახლეობამ უნდა გაიაზროს თუ რაოდენ დიდ როლს ასრულებს ტყე კლიმატის ცვლილების შერბილებაში, ასევე გაზარდოს ჩართულობა ტყის მართვის გეგმების საჯარო განხილვებში.

ტყის მდგრად მართვაში ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობა საქართველოში

მუნიციპალური ტყე არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე, რომლის მიმართ მმართველობით უფლებამოსილებებს, შესაბამისი აქტებით ახორციელებენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

დღესდღეობით საქართველოში მუნიციპლიატეტების მიერ ტყის მდგრადი მართვა მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში გვხვდება. მაგალითად ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც თუშეთის დაცული ლანდშაფტის მართვის ორგანოს წარმოადგენს, ასევე ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტი, რომელიც გორის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაშია.

შექმნილია თრუსოს დაცული ლანდშაფტი, რომელსაც მართავს ყაზბეგის მუნიციპალიტეტი სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში[4].

აგრეთვე, დაარსებულია არაგვის, მაქახელას, ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტები, რომლებიც, საშუალებას იძლევა მუნიციპალიტეტების სურვილისა და თანხმობის შემთხვევაში, აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული ტყე იმართოს მათ მიერ.

ასევე დადგენილია, რომ საქართველოს მთავრობამ 2030 წლის 1 იანვრამდე უნდა შეიმუშაოს „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის“ განსაზღვრის კრიტერიუმები და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის წესი.

საქართველოში მუნიციპალიტეტების მიერ ტყის მდგრადი მართვის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, „საქართველოს ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა, ECO.Georgia” - პროექტის ფარგლებში ერთ-ერთ

4 თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ 01/01/2021

საკვანძო აქტივობას, ტყის მდგრადი მართვისა და კონსერვაციისთვის მუნიციპალური დონის ინსტრუმენტების, პრაქტიკის, გეგმების და შესაძლებლობების განვითარება და დანერგვა წარმოადგენს.

პროექტის ფარგლებში შეირჩა სამი რეგიონი: გურია, კახეთი და მცხეთა-მთიანეთი (ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ახმეტის, დედოფლისწყაროს, თელავის, ყვარლისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები).

ზემოთ აღნიშნული გამონაკლისების გარდა, დღესდღეობით მუნიციპალიტეტები არ მართავენ ტყეს, მათ არ აქვთ ტყის მართვის გამოცდილება, არ გააჩნიათ საჭირო ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსები. აღნიშნული პრობლემებისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების შესაძლებლობების გაძლიერებისთვის სამიზნე მუნიციპალიტეტებში აქტიურად მიმდინარეობს საკომუნიკაციო აქტივობები, რის საფუძველზეც გროვდება ინფორმაცია მუნიციპალური ტყის მართვასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტების შესაძლო ინტერესების, პოლიტიკური ნებისა და ფინანსური მზაობის შესახებ.

არსებობს მუნიციპალიტეტებისთვის ტყის მართვაში გადაცემის და მისი მართვის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი საკითხები.

დადებით მხარეებს წარმოადგენს	უარყოფით მხარეს წარმოადგენს:
ტყის მართვის პროცესში ადგილობრივი/ტრადიციული გამოცდილების და საჭიროებების გათვალისწინება	ამ ეტაპისთვის ტყის მართვის ფინანსური რესურსის სიმცირე/არ არსებობა;
ნაკლები ბიუროკრატია ადგილობრივი მოსახლეობის მერქნით უზრუნველყოფის საკითხში	ტექნიკური რესურსის უქონლობა
ტურისტული პოტენციალის გამოყენება და განვითარება მუნიციპალიტეტისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროსთვის	ადამიანური რესურსის არარსებობა
ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და გადამზადება	კვალიფიციური თანამშრომლების ნაკლებობა

დღეისათვის მუნიციპალიტეტების შესაძლებლობები ტყის მდგრადი მართვის კუთხით მინიმალურია: არ არის შექმნილი სპეციალური სამსახურები, რომლებიც ტყესთან ან/და ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ. მუნიციპალიტეტების მერიებში დასაქმებულია თითო ადამიანი, რომლის ფუნქციებშიც შედის ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობების განხორციელება. თუმცა ტყესთან და ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული საქმიანობები მერიის კომპეტენციას არ განეკუთვნება. ერთადერთი გამონაკლისია ზემოთ აღნიშნული ახმეტის მუნიციპალიტეტი.

მუნიციპალიტეტისთვის ტყის მართვაში გადაცემის პროცედურები

საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობა იძლევა ადგილობრივ დონეზე ტყის მართვის ინიცირების საშუალებას. ეს გამომდინარეობს, როგორც საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებიდან, ასევე ეროვნული კანონმდებლობიდან.

ადგილობრივი ტყის მართვის ინიცირება დღევანდელი კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ მუნიციპალიტეტის დონეზე, შესაბამისად, „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე" გადაეცემა მუნიციპალიტეტს და ის იქნება მუნიციპალური ტყის მფლობელი ან მესაკუთრე.

ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობებს, რათა შესაძლებელი გახდეს გადაცემის პროცედურის დაწყება:

- ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფართობი და მათი საზღვრები ნათლად განსაზღვრულია, გამიჯნულია/დემარკირებულია და შეთანხმებულია;
- ადგილობრივი იურიდიული პირის (მაგ. მუნიციპალიტეტის) უფლება-მოვალეობანი ტყის მართვის სფეროში ნათლად დადგენილია და მის მიერ გამოხატულია თანხმობა იმ უფლება-მოვალეობების თაობაზე, რაც დაეკისრებათ მათ ტყის გადაცემით;
- ტყის მართვაზე უფლებამოსილი ადგილობრივი იურიდიული პირის შესაძლებლობები ტყის მართვის საკითხებში, მათ შორის, ფინანსური საკითხების გათვალისწინებით;

1. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფართობი და მათი საზღვრები ნათლად განსაზღვრულია, გამიჯნულია/დემარკირებულია და შეთანხმებულია

2014 წლის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" თანახმად, „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე" უნდა გადაეცეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს. არსებობს ერთიანი გაგება იმის შესახებ, რომ ამ ტყეებს ძირითადად ყოფილი საკოლმეურნეო ტყე წარმოადგენს. დამატებით, სახელმწიფომ შესაძლებელია გადასცეს აგრეთვე ტყე სახელმწიფო ტყის ტერიტორიიდანაც, სახელმწიფო და ადგილობრივი ტყის უკეთ დაბალანსების მიზნით. საქართველოს მთავრობამ მუნიციპალიტეტებს მიანიჭა აქტიური როლი ტყის გადაცემის საკითხში. მათ უფლება აქვთ, წარადგინონ შესაბამისი განაცხადი იმ ტყეზე, რომელთა მიღებაც აქვთ განზრახული და ამასთანავე, განახორციელონ მათი გამიჯვნა და დარუკება.

2. ადგილობრივი იურიდიული პირის უფლება-მოვალეობანი ტყის მართვის სფეროში ნათლად დადგენილია და მის მიერ გამოხატულია თანხმობა იმ უფლება-მოვალეობების თაობაზე, რაც დაეკისრებათ მათ ტყის გადაცემით

ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ თანახმად, მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ საკუთრების უფლება მათზე გადაცემულ ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეზე. საკუთრების უფლება ჩვეულებრივ მოიცავს ყველა ფორმის სარგებლობის უფლებას, ასევე, საკმაოდ ნათლად არის გაწერილი მუნიციპალიტეტების უფლება-მოვალეობანი ტყის ახალ კოდექსში. მდგრადი სატყეო მეურნეობის გრძელვადიანი განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ფინანსურ საკითხებში დამოუკიდებლობა. სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი პირობაა ტყის შეუზღუდავი მართვა, მათ შორის, სხვადასხვა ტყის პროდუქტებით (მერქნული, არამერქნული) სარგებლობა და ვაჭრობა იმ მოცულობის/კვოტის ფარგლებში, რაც დადგენილი იქნება შეთანხმებული მართვის გეგმის მიერ. არსებული საკანონმდებლო ნორმები ძირითადად უფლებას აძლევენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, შეუზღუდავად ისარგებლონ მათ საკუთრებაში არსებული რესურსებით.

3. ტყის მართვაზე უფლებამოსილი ადგილობრივი იურიდიული პირის შესაძლებლობები ტყის მართვის საკითხებში, მათ შორის ფინანსური საკითხების გათვალისწინებით

დღესდღეობით, მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ სათანადო შესაძლებლობები, განახორციელონ ტყის მართვა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რისთვისაც საჭიროა გამოიყოს შესაბამისი ბიუჯეტი. ასევე, საჭიროა მუნიციპალიტეტების დონეზე კვალიფიცირებული პერსონალი, რომელიც გაეცნობა ტყის მართვის რუკებსა და გეგმებს რომლის საშუალებითაც განახორციელებს ტყის მართვის სამუშაოებს. შესამუშავებელია, ტყის ადმინისტრირების სტრუქტურა და სპეციალური წესები/ნორმები ადგილობრივი ტყის მართვისათვის. ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” (მუხლი 7, პ2) ამბობს, რომ „მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, შექმნან შესაბამისი სამართლებრივი, საფინანსო-ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები”. შესაბამისად, ადგილობრივ დონეზე ტყის მართვის განხორციელების საწყის ეტაპზე, სახელმწიფოსთან ერთად მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ფინანსური და ტექნიკური დახმარების მობილიზაციაც[5].

5 https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/16205.pdf

მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში

საზოგადოების ჩართულობამ ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში შეიძლება ხელი შეუწყოს ტყის ისეთი პოლიტიკის, რეგულაციების და მართვის პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რომელიც მორგებული იქნება ადგილობრივ ინტერესებზე.

ტყის მდგრად მართვაში საზოგადოების ეფექტური ჩართულობა მოითხოვს მკაფიო საკანონმდებლო ჩარჩოებს, მხარდაჭერასა და კოორდინაციას, შესაძლებლობების განვითარებას და მონაწილეობით მიდგომას, რომელიც პატივს სცემს ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებსა და ცოდნას.

2013 წლის ნოემბერში საქართველოს პარლამენტში შევიდა საკანონმდებლო ინიციატივა – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" პროექტი. აღნიშნული კანონით დარეგულირდა ადგილობრივი თვითმმართველობის ეტაპობრივი რეფორმის უზრუნველყოფა მყარი საკანონმდებლო საფუძვლებით, რაც სხვა აქტივობებთან ერთად გულისხმობს თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის, თვითორგანიზების დასახლებებში საზოგადოებრივი თვითმმართველობების ჩამოყალიბების საკანონმდებლო საფუძვლების შექმნას[6].

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec (2009)[7]–ის თანახმად, არსებობს 5 გარემოება, რაც განაპირობებს მოქალაქეთა წარმატებულ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში:

მონაწილეობა წარმატებულია, როდესაც მოქალაქეებს:

აქვთ შესაძლებლობა – *იაც გუდისხმობს ხესუხსების, ცოდნისა და უნაh-ჩვევების აhსებობას მონაწიდეობის მისაღებად;*

აქვთ სურვილი – *იაც გუდისხმობს ეhთგვაhი მიჯაჭვუდობის და კუთვნიდების გhძნობას;*

აქვთ უფლებამოსილება – *იაც გუდისხმობს, მონაწიდეობის მიღების შესაძდებლობას;*

ინფორმირებულნი არიან – *იაც გუდისხმობს, hომ მათ hთავს პhოცესში ხედისუფდება ან მოხაღისეობhივი ჯგუფები;*

პასუხობენ – *იაც გუდისხმობს, hომ მათ შეუძდიათ იხიდონ დადასტუhება იმისა, hომ მათი აhგუმენტიhებუდი მოსაზhებები ასახუდია შესაბამის გადაწყვეტიდებებში.*

ადგილობრივ დონეზე რესურსების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების არსებობა ხელს უწყობს მოსახლეობის ჩართულობას ტყის მართვის სფეროში, ასევე მოსახლეობას, რომელსაც აქვს იმის განცდა, რომ ტყე არის მისი საკუთრებაც, გამოთქვამს მეტ სურვილს ტყის მართვის პროცესში მონაწილეობის. ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, რომ უფლებამოსილნი არიან ჩაერთონ ტყის მართვაში უფრო აძლიერებს მათ მოტივაციას.

საზოგადოების შეხედულებების გათვალისწინება მოტივაციაა!

6 ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის არსებული მექანიზმების შეფასება საქართველოში

7 https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805d1979

საზოგადოების ჩართულობა ტყის მდგრადი მართვის პროცესში

ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობით, ტყის მართვა შეიძლება მორგებული იყოს ადგილობრივი საჭიროებებზე, ეკონომიკური სტაბილურობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

2023 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელიც ემსახურებოდა ეროვნულ დონეზე სატყეო სექტორის შესახებ ცნობიერების დონის შეფასებას,[8] დადგინდა, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობა ფლობს ინფორმაციას ტრადიციული და ადგილობრივი ეკოსისტემის შესახებ, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ტყის მდგრად მართვაში. მათ ესმით ადგილობრივი ფლორა და ფაუნა, კლიმატის ცვლილების შედეგები და როგორ გამოიყენონ ტყის რესურსები მათი ამოწურვის გარეშე.

ტყის მდგრად მართვაში საზოგადოების აქტიური ჩართულობა თავის მხრივ გამოიწვევს მათ ინტერესს ტყის დაცვისა და აღდგენის გაუმჯობესების მიმართულებით. ასევე, ხელი შეეწყობა ხე-ტყის უკანონო ჭრისა და სხვა არამდგრადი პრაქტიკების აღკვეთას.

სამწუხაროდ, ქვეყანაში ტყესთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის დახვეწილი სამართლებრივი მექანიზმები ცალკე დოკუმენტის სახით გაწერილი არ არის.

ტყეზე მოსახლეობის ზემოქმედება, რომელიც, ძირითადად, შეშის შეგროვებითა და სატყეო მიწებზე საქონლის ძოვებით გამოიხატება, მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ტყეზე. ამ პრობლემის გადაჭრის ზოგიერთი გზა სცილდება ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოების კომპეტენციას, კერძოდ, სოფლის მოსახლეობის შემოსავლების გაზრდა, საქონლის ძოვების ისეთი ალტერნატივების შეთავაზება, რომლებიც არ გამოიწვევენ ტყეზე უარყოფით ზემოქმედებას, აგრეთვე შეშის, როგორც ენერგიის წყაროს ხელმისაწვდომი ალტერნატივით ჩანაცვლება.

საქართველოს სატყეო კონცეფციის გათვალისწინებით, საჭიროა ადგილობრივი ტყის მართვაში თემების ჩართვა, ტყის მართვის დაგეგმვის პროცესში მათი და საზოგადოების, განსაკუთრებით, ქალებისა და ახალგაზრდების მოთხოვნილებების გათვალისწინება. ისინი პასუხისმგებლები იქნებიან იმ რესურსების რაციონალურად მართვასა და გამოყენებაზე, რომლებიც ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობას უზრუნველყოფენ[9].

8 ეროვნულ დონეზე სატყეო სექტორის შესახებ ცნობიერების დონის შეფასება, ანალიტიკური ანგარიში

9 საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია